

**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად
საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს
2019 წლის ანგარიში**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-III თავის მოთხოვნათა შესასრულებლად, ამ კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეები - სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების უფროსი, მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნინო ჩემინავა, კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების წამყვანი სპეციალისტი, მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თინათინ შავლაყაძე და საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - სასამართლოს მენეჯერი, პირველი რანგის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ლანა ბერიშვილი.

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში და მის შემადგელობაში შემავალ მაგისტრატ სასამართლოებში (მესტია, ჩხოროწყუ, წალენჯიხა) 2019 წლის 01 იანვრიდან დღემდე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულია 36 განცხადება:

1. „EMC -ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრიდან” - 9;
2. „სახალხო დამცველის აპარატიდან” -11
3. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტიდან” -2
4. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან” - 1
5. „საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციიდან-2
6. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივადან” - 2;
7. „რეგიონული ახალი ამბების სააგენტოდან” -1;
8. შპს „აჭარის აქტივების მართვის კომპანია” – 2
9. „ღია საზოგადოების ფონდიდან”-1
10. მოქალაქეებისგან -5

დაკმაყოფილდა - 23;

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -5 ;

არ დაკმაყოფილდა - 6.

„სახალხო დამცველის აპარატიდან“ შემოსული 9 განცხადება შემდეგი სახის ინფორმაციის მოთხოვნით:

1. წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლისთვის გადაცემული საქმეების რაოდენობის, არსებითი განხილვის ეტაპზე განმხილველი მოსამართლის სათადარიგო მოსამართლით შეცვლის და იმ საქმეთა რაოდენობის შესახებ, სადაც არ იყო დანიშნული სათადარიგო მოსამართლე და საქმის განხილვა დაიწყო ხელახლა;
2. სტატისტიკური ინფორმაცია 2016 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეების შესახებ, სადაც აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იყო რამდენი მათგანი დასრულდა 2019 წლის 01 იანვრამდე.
3. 2018 წლის 01 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 170-ე, 240-ე და 240¹-ე მუხლებით განხილულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების ასლების გადაცემა;
4. 2014-2015 წლებში მომხდარი ქალის მკვლელობის, მკვლელობის მცდელობის, თვითმკვლელობამდე მიყვანის და ჯანმრთელობის დაზიანების საქმეებზე დამდგარი განაჩენის ასლების გადაცემა;
5. საქართველოს სსკ-ის 109-ე, 236-ე და 344-ე მუხლებით გამოტანილი განაჩენის ასლის გადაცემა;
6. 2018 წელს მომხდარი ქალის მკვლელობის, მკვლელობის მცდელობის, თვითმკვლელობამდე მიყვანის და ჯანმრთელობის დაზიანების (რომელსაც მოჰყვა გარდაცვალება) საქმეზე დამდგარი განაჩენის ასლების გადაცემა;
7. 2017 წლის 01 ივლისიდან 2019 წლის 01 მაისამდე პერიოდში საქართველოს სსკ-ის 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლებით (სადაც დაზარალებული იყო 18 წლის ასაკს მიუღწეველი ქალი, მათ შორის ტრანსგენდერი) დამდგარი განაჩენის და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინების ასლების გადაცემა;
8. 2018 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 01 ივნისამდე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ ჩხრეკის და ამოღების ჩატარების შესახებ გაცემული განჩინების ასლის გადაცემა;
9. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესების თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების ასლის გადაცემა;

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC” - დან შემოსული 5 განცხადება:

1. 2018 წელს საქართველოს სსკ-ის 260-ე, 261-ე, 262-ე, 263-ე, 264-ე, 265-ე, 266-ე, 267-ე, 268-ე, 269-ე, 270-ე, 271-ე, 272-ე, 273-ე, 273¹, 274-ე მუხლებით გამოტანილი განაჩენის ასლების გადაცემა;
2. სტატისტიკური ინფორმაცია 2018 წლიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების თაობაზე განხილული შუამდგომლობების რაოდენობის შესახებ;
3. 2016 წლიდან 2019 წლის აპრილამდე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV¹¹ თავის საფუძველზე შემოსული საქმეების რაოდენობა და მიღებული გადაწყვეტილების ასლების გადაცემა;
4. 2017-2018 წლებში სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით გამოტანილი განაჩენის ასლების საერთო რაოდენობა მუხლებზე მითითებით;
5. ა) 2017-2018 წლებში ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის ასლების გადაცემა;
ბ) 2017-2018 წლებში საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის მიერ სასამართლოში შემოტანილი შუამდგომლობების რაოდენობა, რომლებიც არ დაკმაყოფილდა;
გ) საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეების რაოდენობა, სადაც სასჯელის სახით გამოყენებულია ჯარიმა (ძირითად და დამატებით სასჯელებად);
დ) ინფორმაცია 2017-2018 წლებში განხილულ საქმეთა რაოდენობის თაობაზე, სადაც ბრალდებული წარმოდგენილი იყო სახაზინო ადვოკატით, ასევე იმ საქმეების რაოდენობა, რომლებშიც ჩართული იყვნენ კერძო ადვოკატები.
6. შპს „აჭარის აქტივების მართვის კომპანიიდან” შემოსული 2 განცხადება, სადაც მოთხოვნილია ინფორმაცია შპს „აჭარის აქტივების მართვის კომპანიასა” და სხვადასხვა კერძო კომპანიებს შორის წარმოებული დავების შესახებ;
7. „რეგიონული ახალი ამბების სააგენტოდან” შემოსული განცხადება: 2017 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 15 თებერვლის ჩათვლით შემოტანილი განცხადებების რაოდენობა სასამართლო პროცესების ფოტო, კინო, ვიდეო და აუდიო ჩაწერის მოთხოვნით და მიღებული გადაწყვეტილებები (დაკმაყოფილდა, არ დაკმაყოფილდა) საფუძვლების მითითებით, ასევე სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანება სასამართლოში ფოტო, კინო, ვიდეო, აუდიო ჩაწერის და ეთერში გადაცემის შესახებ;
8. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი IDFI“-დან შემოსული განცხადება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთა მონაცემების გადაცემის თაობაზე;
9. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან” შემოსული მოთხოვნა: სტატისტიკური ინფორმაცია 2017-2018 წლებში სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების და გირაოს პატიმრობით შეცვლის შესახებ;

10. „საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის” განცხადება: 2017-2019 წლებში საქართველოს სსსკ-ის 151-ე და 158-ე მუხლების შესაბამისად მიღებული განჩინების ასლების გადაცემა;

11. „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს” მოთხოვნა 2014 წლიდან 2019 წლის აპრილამდე „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე შემოტანილი სარჩელების რაოდენობის და მიღებული გადაწყვეტილების ასლების გადაცემის თაობაზე;

12. თამარ გეგელიას განცხადება: საქართველოს სსკ-ის 137-ე, 138-ე, 139-ე, 140-ე, 141-ე და 255² მუხლებით გამოტანილი განაჩენის ასლების გადაცემის მოთხოვნით;

13. ქეთევან ხომერიკის განცხადება: 2015 წლის 01 ივლისიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ასლების გადაცემა;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 37-ე მუხლების შესაბამისად ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 5 განცხადება:

1. „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC” -დან შემოსული განცხადება, სადაც მოთხოვნილია შემდეგი ინფორმაცია:

ა) სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დადგენილი მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის ასლები უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, მასში ცვლილებების შეტანის პერიოდულობის და საფუძვლის მითითებით;

ბ) საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე, თითოეულ მოსამართლეზე განაწილებული საქმეების რაოდენობა, მოსამართლეთა შვებულებების, მათ შორის დეკრეტული შვებულების მითითებით;

გ) ელექტრონული პროგრამის შეფერხებისას საქმეთა რიგითობით განაწილების წესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი, 2017 წლის 31 დეკემბრიდან მასში ცვლილებების შეტანის პერიოდულობის მითითებით;

დ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილების 1/56 მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად საქმის სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევები, შესაბამისი საფუძვლისა და თარიღის მითითებით. ასევე იმ პიროვნების მითითება თუ ვინ აფასებს მითითებულ მუხლში არსებული გარემოების არსებობას და ვინ იღებს გადაწყვეტილებას საქმის სხვა მოსამართლისთვის დროებით გადაცემის თაობაზე;

განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ვინაიდან:

ა) მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკი არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და არ არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ამასთან, აღნიშნული ინფორმაციის/ მასალის დაარქივება არ ხორციელდება.

ბ) სასამართლოში ელექტრონული სისტემის დროებით შეფერხებისას, საქმეთა რიგითობით განაწილების წესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი“.

გ) ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმეთა განაწილებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავების უფლებამოსილება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 56¹ მუხლის თანახმად წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებას (ელექტრონული პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე, თითოეულ მოსამართლეზე განაწილებული საქმეების რაოდენობას, მოსამართლეთა შვებულებების, მათ შორის დეკრეტული შვებულების მითითებით) ზუგდიდის რაიონული სასამართლო არ ახორციელებს.

დ) ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 01 მაისის N1/56 გადაწყვეტილების მეოთხე მუხლის მე-15 პუნქტით საქმის სხვა მოსამართლისთვის გადაცემის საკითხი რეგულირდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 01 მაისის N1/56 გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“-დან შემოსული ორი განცხადება:

- 1) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე 2010 წლიდან 2019 წლამდე მიღებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემა;
განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რადგან ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ 2010 წლიდან 2013 წლის ჩათვლით განხილული საქმეები გადაგზავნილია სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ხოზის საარქივო განყოფილებაში, რის გამოც სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას მოიძიოს მითითებულ წლებში მიღებული გადაწყვეტილებები, ამასთან გაეგზავნა 2014 წლიდან 2019 წლამდე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილების ასლები.
- 2) 2009 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 01 იანვრამდე საქართველოს სსკ-ის 366-ე მუხლით გამოტანილი განაჩენის ასლების გადაცემა;

განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რადგან 2009 წლიდან 2014 წლის ჩათვლით განხილული საქმეები გადაგზავნილია სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ხობის საარქივო განყოფილებაში. შესაბამისად გაეგზავნა 2015 წლიდან 2019 წლამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით მიღებული განაჩენის ასლები.

3. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტიდან“ შემოსული განცხადება: სტატისტიკური ინფორმაცია 2004 წლიდან 2019 წლის მაისამდე განხილული საქმეების რაოდენობის თაობაზე, სადაც სასამართლომ არ დამტკიცა საპროცესო შეთანხმება (წლების და საფუძვლების მითითებით ცალ-ცალკე); ასევე დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების და მასში შესული ცვლილებების რაოდენობა და გამოტანილი განაჩენის ასლების გადაცემა;

განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რადგან სისხლის სამართლის საქმეები 2004 წლიდან 2014 წლის ჩათვლით გადაგზავნილია საერთო სასამართლოების არქივის ხობის საარქივო განყოფილებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე გაეგზავნა მხოლოდ 2015-2019 წლებში ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების/არ დამტკიცების შესახებ სტატისტიკური მონაცემები წლების მიხედვით ცალ-ცალკე;

4. ამირან კოპაძის განცხადება 2014 წლიდან 2018 წლის ჩათვლით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე, 303-ე, 301-ე, 302-ე მუხლებით გამოტანილი განაჩენის და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 85-ე, 86-ე, 89-ე და 359-ე მუხლებით მიღებული დადგენილების ასლების გადაცემა;

განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ განმცხადებელს გაეგზავნა ზუგდიდის რაიონული, მესტიის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს მაგისტრატი სასამართლოების მიერ 2015, 2016, 2017 და 2018 წლებში საქართველოს სსკ-ის 259-ე, 300-ე, 301-ე და 302-ე მუხლებით გამოტანილი განაჩენის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 85-ე, 86-ე, 89-ე და 359-ე მუხლებით მიღებული დადგენილების ასლები. ამასთან, ეცნობა, რომ 2014 წლამდე განხილული საქმეები გადაგზავნილია სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ხობის საარქივო განყოფილებაში, რის გამოც სასამართლო მოკლებულია მოთხოვნის ამ ნაწილში დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 41-ე მუხლების შესაბამისად არ დაკმაყოფილდა 6 მოთხოვნა:

1. „EMC -ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ მიღებული დადგენილების ასლის გადაცემა;

განცხადება არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან მითითებული მუხლებით ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში სამართალდარღვევის ოქმი არ შემოსულა და შესაბამისად არც განხილულა;

2.,,სახალხო დამცველის აპარატიდან” შემოსული ორი განცხადება შემდეგი ინფორმაციის მოთხოვნით:

ა) 2014-2015 წლების განმავლობაში მომხდარი ქალის გაუპატიურების, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, უკანონო აბორტის, თანხმობის გარეშე სტერილიზაციის, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების, ადამიანით ვაჭრობის, წამების (რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა) ფაქტებზე.

განცხადება არ დაკმაყოფილდა, რადგან მოცემული მუხლებით სისხლის სამართლის საქმეები ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში არ შემოსულა და შესაბამისად არც განხილულა.

ბ) 2018 წლის განმავლობაში ქალის გაუპატიურების, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების, უკანონო აბორტის, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი), წამების ფაქტებზე, რამაც გამოიწვია დაზარალებულის გარდაცვალება, სისხლის სამართლის საქმეები არ შემოსულა და შესაბამისად არ განხილულა.

3.,,საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის” განცხადება 2017-2019 წლებში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 44-ე თავის საფუძველზე ზოგიერთი დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევის და სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მიღებული განჩინების ასლის გადაცემა.

მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან 2017-2019 წლებში სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 44-ე თავის საფუძველზე ზოგიერთი დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ საქმეები არ განხილულა.

4.ოსებ ჭონქაძის განცხადება 2014 წლიდან 2019 წლის აპრილამდე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 182² მუხლის პირველი ნაწილით მიღებული დადგენილების ასლების გადაცემის შესახებ;

განცხადება არ დაკმაყოფილდა, რადგან 2017 წლის 05 დეკემბრიდან 2019 წლის 20 აპრილამდე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 182²-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის თაობაზე საქმეები არ შემოსულა, შესაბამისად არც განხილულა.

5.სალომე ბანძელაძის განცხადება 2015 წლიდან 2019 წლის მაისამდე იმ ადმინისტრაციული საქმეების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია და გადაწყვეტილების ასლების გადაცემა, სადაც გათვალისწინებული იქნა „სასამართლოს მეგობრის” მოსაზრება.

განცხადება არ დაკმაყოფილდა, რადგან 2015 წლიდან დღემდე ადმინისტრაციული დავებზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შემადგენლობაში შემავალ ჩხოროწყუს და წალენჯიხის მაგისტრატ სასამართლოში „EMC -ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ მიერ შეტანილია ორი განცხადება 2018 წელს საქართველოს სსკ-ის 260-ე, 261-ე, 262-ე, 263-ე, 264-ე, 265-ე, 266-ე, 267-ე, 268-ე, 268-ე, 270-ე, 271-ე, 272-ე, 273-ე, 273¹, 274-ე მუხლებით განხილული განაჩენის ასლების გადაცემის მოთხოვნით, რომელიც დაკმაყოფილდა;

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ ყველა განცხადებებზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილ ვადაში და ინფორმაციის დამუშავების და გადაცემის დროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან გადაცდომას ადგილი არ ჰქონია. ამასთან, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე საჩივარი და სარჩელი არ შემოსულა.

ლანა ბერიშვილი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი
(სასამართლოს მენეჯერი -პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი)